4998/3-106/22 2 06062022

4998/3-106/22
06-06-2022

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

ნამდვილად მისასალმებელია ჩვენი ქვეყნის სწორი პოზიცია გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლაში და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებაში. ამ მხრივ შესაქები სიტყვა უნდა ითქვას არამარტო ტერორიზმთან, არამედ უკანონო მიგრაციასთან და სხვა სახის დანაშულებთან ბრძოლის კუთხით, მოგზაურთა იდენტიფიკაციის მართვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად API და PNR (PASSENGER NAME RECORD) სისტემების ტექნიკური იმპლემენტაციის გამო. მოგეხსენებათ API (advance passenger information) სისტემა არის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება მგზავრების მონაცემების საჰაერო გადამზიდავების მიერ შეგროვება და გადაცემა სასაზღვრო კონტროლის სამსახურებისთვის ფრენის დაწყებამდე ან/და დანიშნულების ქვეყანაში ჩაფრენამდე. უდავოა, რომ მგზავრთა მონაცემები წარმოადგენს პერსონალურ ინფორმაციას, რომელსაც ჩვენს და სხვა განვითარებულ ქვეყნებში იცავს კანონი. ხშირია შემთხვევები დიდი მონაცემების მოპარვის ან/და დაზიანების, ასევე არადანიშნულებისამებრ გამოყენების. გვაინტერესებს, რამდენად დაცულია ჩვენი ქვეყნის უფლებამოსილ სამსახურში თავმოყრილი მსგავსი პერსონალური ინფორმაცია არასანქციონირებული

შეღწევადობისგან და გამჟავნებისგან? ასევე თუ არსებობს მექანიზმი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების შესახებ მსგავსი ინფორმაციის სხვა ქვყნების სამსახურებისთვის მიწოდების შემთხვევაში მათი დაცულობის თაობაზე (კონფიდეციალურობის და მონაცემთა დაცვის პრინციპების პატივისცემა) ინფორმაციის მიღების.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ ჩაჩიბაია